ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 133

21 ნოემბერი 2016 წელი

ქალაქი ბათუმი

ერთი მხრივ სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ მიქელაძის სახით და მეორე მხრივ შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ზაზა გაბელაიას სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბას-გიტარის და ფანდურისათვის სიმების შეძენა (SPV N37300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს205 ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

11.4. 11.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. მომსახურების საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის ,შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი ბთანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი: შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი”

მისამართი: თბილისი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205073212

საანგარიშსწორებო ანგარიშის
N:GE47PC0133600100006417 9

დირექტორი
ზაზა გაბელაია

შემსყიდველი:
აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის
სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი
მისამართი: ქ. ბათუმი მაიაკოვსკის ქუჩა N55
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428737
ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი
ოთარ მიქელაძე

მიღება–ჩაბარების

ა ქ ტ ი 107

ქ.ბათუმი

22 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ,,აჭარის მ.კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ მიქელაძის სახით და მეორე მხრივ შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი" წარმოდგენილი დირექტორის ზაზა გაბელაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 21 ნოემბრის §133 ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა ბას-გიტარის და ფანდურის სიმი ღირებულებით 205 (ორასხუთი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარისგან.

ჩააბარა:

ზაზა გაბელაია

მიიღო:

ოთარ მიქელაძე